



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 76

2014 წლის 3 ოქტომბერი

ქ.დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ტყეკაფებში მისასვლელი გზების გაყვანა გაწმენდისთვის საჭირო სამუშაოების შესყიდვაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

სსიპ ეროვნული საატყეო სააგენტოს მოთხოვნით, ტყეკაფებში მისასვლელი გზების გაწმენდა-გაყვანისათვის საჭირო სამუშაოების დასაფინანსებლად, დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტდან გამოყოფილია 17 771 ლარი.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აღნიშნული სამუშაოების შესყიდვა უნდა განხორციელდეს ელექტრონული ტენდერის საშუალებით, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ტყეკაფებში გზების გაყვანა-გაწმენდა შეუძლებელი გახდება ამინდის გაუარესების და ნალექის მოსვლის შემდეგ, არსებობს რეალური საფრთხე იმისა, რომ მოსახლეობა და საბიუჯეტო დაწესებულებები ზამთრის სეზონის განმავლობაში დარჩეს საშუალო მერქნის გარეშე.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე შექმნილ ვითარებას გამგეობა აფასებს როგორც გადაუდებელ აუცილებლობას და ითხოვს თანხმობას, რათა ტყეკაფებში გზების გაყვანა - გაწმენდის სამუშაოების შესყიდვა, განხორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61 მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, მე-16 მუხლის მესამე ნაწილის და საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე 10¹ მუხლის მე 3 პუნქტის “ გ “ქვეპუნქტის შესაბამისად დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

გადაწყვიტა

1. მისცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს , ტყეკაფებში მისასვლელი გზების გაყვანა-გაწმენდისთვის საჭირო სამუშაოების შესყიდვა განხორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

საკრებულოს თავჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი